პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 174 (19016) კვირა, 29 ივლისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

29 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

დღეს ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს ამ ტრადიციულ დღესასწაულს. მთელი საბჭოთა ხალხი პატივს მიაგებს სამხედრო მეზღვაურებს, ვეტერანებს, გემთმშენებლობის მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც თავიანთი დამკვრელური შრომით განამტკიცებენ საბჭოეთის ძლიერებას.

მძლავრი თანამედროვე ფლოტი შეიქმნა ჩვენი ხალხის, მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და ინჟინერთა თავდადებული შრომის შედეგად.

სამხედრო მეზღვაურები კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას — ღირსეულად დაიცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს.

სურათზე: საოკეანო ლაშქრობა.

ს. კოზლოვის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მარადი უძლეველობის წყარო

პარტია საზოგადოების ავანგარდია, და ეს მისია პარტიას შეუძლია შეასრულოს, თუ იგი რაოდენობრივად და თვისებრივად იზრდება.

ვ. შევარდნაძე.

კომუნისტური პარტიის უნარს ღირსეულად შეასრულოს თავისი ისტორიული მოწოდება, მისი იდეური და ორგანიზაციული ერთიანობის სიმტკიცეს, მრავალმხრივი მოღვაწეობის წარმატებებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი შემადგენლობა. ამიტომაც პარტიის ზრდის რა- [...]

[...] ტერესები სკკპ რიგებში შესვლით ნაკარნახევი იყო უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას კონკურსში უპირატესობის მიღების სურვილით. ამ დარღვევების დაშვებისათვის მკაცრად დაისაჯნენ საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ერთიანი პარტბილეთისა და პარტსტატისტიკის სექტორის გამგე, პარტიაში მიღების საკითხებისა და [...]

28 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი. თათბირმა განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესახებ აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებზე სრულიად საკავშირო ეკონომიკური თათბირის მოთხოვნების, იმ დებულებებისა და დასკვნების მიხედვით, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის [...]

აგრარული ეკონომიკის რეზერვები

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი

[...] რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ავტონომიურ ფორმირებათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები და ეკონომიკური მუშაობის დარგში მათი მოადგილეები, მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ხელმძღვანელები, ეკონომიკური და იურიდიული სამსახურების მუშაკები, მეცნიერები [...]

განიხილეს რესპუბლიკის ყველა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაკთა აქტივებზე, იგი არ წაუკითხავთ. ინფორმაცია მოხსენების განხილვის დროს შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

[...] დის რაიკომის პირველი მდივანი ი. თ. თოიძე, წყალტუბოს ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი დ. ა. სარიშვილი, გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი შ. ს. ბასილაშვილი, საბჭოთა კავშირის გ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე [...]

[...] ური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორი თ. ლ. კოზახიძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი ნ. ბ. რჩეძე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობა „პრავდის" მთავარი ეკონომისტი მ. ს. ბაიაშვილი, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ქურზუს კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი მ. ა. ბაბილონია, აბაშის რაიონის მარნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუღალტერი ა. გ. ხოხობაშვილი, საქართველოს კომ- [...]

ორდენი აგვირგვინებს მეტალურგის შრომას

[...] კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. დ. მახარაშვილი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კოლპაკოვი და სხვ.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

ერთობლივი კვლევის მეათე დღე

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხალხის გარჯის ნაყოფი

1984 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოება და მისი ეფექტიანობა. გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა.

რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:	1984 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით
მრეწველობის პროდუქცია	106,1
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	108
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი	102
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	102
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	105,1
მშენებლობაში	104,4
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	103
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში	105
მოსახლეობისათვის მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გაცემული დახმარება და შეღავათები	105
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	107,2
მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	107,2
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების (მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების) და კოლმეურნეობების სახსრების ხარჯზე	103,4

მრეწველობის პროდუქცია 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით 300 მილიონი მანეთით და მეტად გაიზარდა.

ძირითადი ფონდების ამოქმედება დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგენს 405 მილიონ მანეთს.

სახალხო მეურნეობაში **მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა** საშუალოდ ნახევარ წელიწადში შეადგინა 2090 ათასი კაცი, ანუ 45 ათასით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

გაიზარდა მშრომელთა აქტიურობა, შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად გაფართოვდა მათი მონაწილეობა წარმოების მართვისა და სოციალური განვითარების სა- [...]

[...] კითხთა გადაწყვეტაში. ინერგება ბრიგადული იჯარა, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები და კადრების დენადობა.

წარმოების ეფექტიანობის ზრდას ხელი შეუწყო სოციალისტურმა შეჯიბრებამ 1984 წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების 1 პროცენტით ზეგეგმითი გადიდებისა და თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირებისათვის. პროდუქციისა და სამუშაოთა მოცულობის გადიდება მიღწეულია უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

უზრუნველყოფილია **მატერიალური რესურსების ეკონომია**, ამავე დროს ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს საქვაბე-ღუმელე საწვავის, სითბური და ელექტრული ენერგიის, ზოგიერთი სახეობის ნედლეულისა და მასალების დაზოგვის დავალებანი.

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

[...]

(დასასრული მე-3 გვ.)

(დასასრული მე-3 გვ.)

ხალხის გარჯის ნაყოფი

(დასასრული)

ათვისებულია 35 დასახელების ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქცია. მრეწველობამ გამოუშვა 9 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელ-15 ელმავლის საცდელი ნიმუში.

ცალკეულ საწარმოო გაერთიანებებში მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომლის მიზანია ნამუშევრების ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ქვეგანაყოფების მუშაკთა პასუხისმგებლობის გადიდება და პერსონალის ნაკლები რიცხვით მეტი მოცულობის სამუშაოთა შესრულებით მათი დაინტერესების გაძლიერება.

სოფლის მეურნეობაში ინერგებოდა ინდუსტრიული ტექნოლოგიები, დიდმწარმოებლური ენერგოგაჯერებული ტრაქტორები, მანქანები და მოწყობილობა, ნიადაგის დამუშავების რაციონალური ხერხები, გამოიყენებოდა ეფექტიან სახეობათა სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი.

ტრანსპორტზე უმჯობესდებოდა ტექნიკური ბაზა, ტვირთის მიტანის ხერხები. 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით წაყვანილია 53 პროცენტით მეტი მძიმეწონიანი რკინიგზის მატარებელი; მათ მიერ ნორმის გადაჭარბებით გადატანილია 83 პროცენტით მეტი ტვირთი. გაიზარდა კონტეინერებით ტვირთზიდვა.

მშენებლობაში შესრულდა დავალებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია პროგრესულ სახეობათა ყალიბის გამოყენებით მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ნაგებობების აშენება, ავტობეტონმზიდებით ბეტონის ხსნარის მიტანით მონოლითური და ასაწყობ-მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დაბეტონება, კომპლექსურ-მექანიზებული ხაზების გამოყენებით, არმატურის ნაწარმის ცენტრალიზებული დამზადება, მშენებლობა მზიდი და გადამღობი კონსტრუქციების სრული აწყობადობის დიდი ზომის კვანძების, პანელებისა და ბლოკებისაგან.

მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ცალკეული დავალებანი მთლიანად ვერ შესრულდა.

II. მრეწველობა

პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა 102,1 პროცენტით შესრულდა. გეგმა შეასრულა ყველა სამინისტრომ, უწყებამ, ავტონომიურმა რესპუბლიკამ, ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქმა და რაიონმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, ქალაქ რუსთავისა და ლანჩხუთის რაიონის გარდა. შესრულებულია **მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების** დავალებანი.

სამრეწველო პროდუქციის მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წლიური გეგმით გათვალისწინებული 5,3 პროცენტის ნაცვლად 6,1 პროცენტი შეადგინა.

მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით მოგვყავს ქვემოთ:

მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით	წარმოების მოცულობა 1984 წლის პირველ ნახევარში პროცენტობით 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	107,4
სათბობის მრეწველობა	87,2
შავი და ფერადი მეტალურგია	101,7
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	101,9
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	108,3
ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	108,8
საშენ მასალათა მრეწველობა	105,2
მსუბუქი მრეწველობა	105,2
კვების მრეწველობა	106,0
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება	108,4

შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულდა 103,6 პროცენტით, ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალებებს თავი გაართვა ყველა სამრეწველო სამინისტრომ, ავტონომიურმა რესპუბლიკამ, ავტონომიურმა ოლქმა და ქალაქმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 5,1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როცა წლიური დავალებით გათვალისწინებული იყო 4,1 პროცენტი. ამის შედეგად მიღებულია წარმოების მატების 84 პროცენტი.

მთლიანად მრეწველობაში და მეტი წილი სამინისტროებისა და უწყებების ხაზით შრომის ნაყოფიერება უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საშუალო ხელფასი.

შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა, რომლის დროს ანაზღაურება ერთიანი განწესით ხდება, მოიცავს მუშების დაახლოებით ნახევარს.

თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 0,6 პროცენტი შეადგინა. გადაჭარბებით შესრულდა **მოგების** გეგმა.

რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სოციალისტური ვალდებულებანი სრულდება.

გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და პროდუქციის ხარისხი. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილმა სატესტაციო პროდუქციის საერთო მოცულობაში 51 პროცენტი შეადგინა.

მონაცემები ცალკეული **სამინისტროებისა და უწყებების** საწარმოების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შესახებ მოგვყავს ქვემოთ:

ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით	პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით: წარმოების მოცულობა	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით: შრომის ნაყოფიერება
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები სამინისტროებისა:			
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	98,1	105,5	107,2
ნავთობის მრეწველობის	84,3	74,3	73,1
ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	101,0	91,9	94,0
გაზის მრეწველობის	100,0	107,2	107,3
ქვანახშირის მრეწველობის	105,7	97,4	98,3
შავი მეტალურგიის	102,8	101,2	99,5
ფერადი მეტალურგიის	101,6	105,5	104,9
ქიმიური მრეწველობის	101,2	106,0	106,9
მინერალური სასუქების წარმოების	90,6	91,8	92,1
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	104,7	102,2	116,5
ელექტროტექნიკური მრეწველობის	104,9	106,5	113,8
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	99,8	109,8	113,6
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	101,9	89,3	107,0
საავტომობილო მრეწველობის	101,9	101,5	102,4
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	102,9	80,4	87,1
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	102,8	103,9	105,2
მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა	104,0	114,4	116,9
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	102,2	121,6	117,9
მსუბუქი მრეწველობის	105,2	106,4	108,0
კვების მრეწველობის	102,8	102,7	101,9
ხორცისა და რძის მრეწველობის	102,0	102,2	105,6
თევზის მეურნეობის	110,5	105,6	105,8
სამედიცინო მრეწველობის	102,5	104,2	103,8
გზათა	102,2	101,4	101,6
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები:			
ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	100,0	106,8	110,0
საშენ მასალათა მრეწველობის	100,9	104,5	105,0
მსუბუქი მრეწველობის	100,9	105,3	105,3
კვების მრეწველობის	101,7	107,4	104,2
ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის	103,1	99,8	96,0
ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის	104,1	106,6	104,1
ხილბოსტნეულის მეურნეობის	100,1	125,9	120,7
ხორცისა და რძის მრეწველობის	105,0	108,9	108,8
დამზადების	110,6	108,1	107,1
მშენებლობის	99,3	103,9	104,0
სასოფლო მშენებლობის	101,7	106,9	106,3
ადგილობრივი მრეწველობის	101,1	106,0	105,3

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების ზრდის ტემპის მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით: წარმოების მოცულობა	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით: შრომის ნაყოფიერება
აფხაზეთის ასსრ	103,2	108,6	107,2
აჭარის ასსრ	103,1	101,1	101,1
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	101,8	109,0	106,8
ქალაქები:			
თბილისი	101,7	106,1	106,1
სოხუმი	103,1	112,5	112,9
ბათუმი	102,4	100,4	100,0
ცხინვალი	101,5	108,1	105,3
ქუთაისი	102,3	102,6	101,7
რუსთავი	98,6	100,5	99,2
ფოთი	109,5	107,0	106,6
გორი	100,1	91,2	92,6
ზუგდიდი	101,4	106,6	108,7
ჭიათურა	101,9	102,2	101,8
ტყიბული	103,3	103,3	103,2
გაგრა	102,7	94,2	95,0
წყალტუბო	105,7	109,6	104,2
ტყვარჩელი	109,2	95,6	92,9
მარნეული	102,5	125,5	117,5

1984 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში დაწყებულია დაგეგმვისა და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) უფლებათა გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელება. ეკონომიკურ ექსპერიმენტზე გადაყვანილი გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლები გაუმჯობესდა, ამაღლდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დონე, მეტმა წილმა საწარმოებმა მთლიანად შეასრულეს მიწოდების ვალდებულებანი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება	წარმოებულია 1984 წლის I ნახევარში	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	7,7	106
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	1407	105
ფოლადის მილები, ათასი ტონა	259	101
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	56,1	69
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	12,1	110
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	15,0	106
სინთეზური ამიაკი, ათასი ტონა	115	84
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	53,0	120
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	19,8	108
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	16,1	107
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	20,4	103
დაბალი ძაბვის ელექტრული აპარატურა, მილიონი მანეთისა	28,4	102
კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	14,5	112
მაგისტრალური ელმავლები, ათასი ცხენის ძალა	510	100
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	2,4	54
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი ფესტმეტრი	70,5	103
ქაღალდი, ათასი ტონა	20,4	104
მერქნის ბურბუშელის ფილები, ათასი პირობითი კუბური მეტრი	10,4	99,0
ასაწყობი რკინაბეტონი, ათასი კუბური მეტრი	932	101
რბილი სახურავი და საიზოლაციო მასალები, მილიონი კვადრატული მეტრი	47,6	111
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა	254	108
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	26,8	111
წინდები, მილიონი წყვილი	16,2	107
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	8,0	101
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	40,1	107
ძეხვეული, ათასი ტონა	17,6	105
საჭმელი თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთისა	35,1	108
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ტონა	539	108
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	101	103
მარგარინის პროდუქცია (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	17,4	94
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) ათასი ტონა	6,2	111
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	32,2	103
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	181	91
მათ შორის ხილბოსტნეულის	171	91
ჩაი — ნატურალური ხარისხოვანი, დაფასოებული, ათასი ტონა	42,3	110
ყურძნის ღვინო, მილიონი დეკალიტრი	10,9	91
შამპანური, მილიონი ბოთლი	10,5	109
მინერალური წყლები, მილიონი ნახევარლიტრი	207	118
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიონი მანეთისა	9,3	88
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	59	175
ავეჯი, მილიონი მანეთისა	68,1	107

შესრულდა ქვანახშირის და მანგანუმის მადნის მოპოვების, ფოლადის, შავი ლითონების მზა ნაგლინის, კაპროლაქტამის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, მაგისტრალური ელმავლების, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კომბეგრა ამწეების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, ქაღალდისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა.

მიღწეულია სახალხო მოხმარების მეტი წილი საქონლის: ხორცის, ერბო-კარაქის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ცხიმიანი ყველის, ნატურალური ჩაის, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, წინდების, შამპანისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტელევიზორების, ავეჯის წარმოების დაგეგმილი მოცულობა.

ამავე დროს ვერ შესრულდა ნავთობის, გაზის მოპოვების, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, სინთეზური ამიაკის, სამჭედლო-საწნეხი მანქანებისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების დავალებანი.

გაუმჯობესდა დადებული ხელშეკრულებებისა და განწესების შესაბამისად პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმის შესრულება. მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულებები ჯერ კიდევ მთლიანად არ სრულდება. მათ შესრულებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაუშვეს შავი და ფერადი მეტალურგიის, მინერალური სასუქების წარმოების, ნავთობის მრეწველობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების, დაგროვების გეგმები, უშვებდნენ მდარე ხარისხის პროდუქციას.

III. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დროულად შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. 1984 წლის მოსავლის **ნათესმა ფართობმა**, წინასწარი მონაცემებით, 722 ათასი ჰექტარი შეადგინა. შარშანდელთან შედარებით გაიზარდა ფართობი, რომელზეც თესია სამარცვლე სიმინდი, სამარცვლე-პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობი მელიორირებულ მიწებზე.

ყველგან მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა, თიბვა და საკვების დამზადება, ბევრ რაიონში იღებენ მარცვლეულის მოსავალს. 23 ივლისისათვის მარცვლეული კულტურები აღებულია 84 ათას ჰექტარზე.

ინტენსიურად წარმოებს საკვების დამზადება. 23 ივლისისათვის დამზადებულია 672 ათასი ტონა უხეში საკვები, 161 ათასი ტონა წვნიანი საკვები, 13 ათასი ტონა ხელოვნურად გამომშრალი ბალახის ფქვილი. მოკრეფილია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 298 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 3 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მეცხოველეობაში ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით საზოგადოებრივ მეურნეობაში ხორცის წარმოება გაიზარდა 4 პროცენტით, კვერცხისა — 3 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა	წლის პირველი ნახევარი: 1983 წ.	წლის პირველი ნახევარი: 1984 წ.	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), ათასი ტონა	59,9	65,6	109,4
რძე, ათასი ტონა	148,8	151,4	101,8
კვერცხი (საზოგადოებრივი სექტორი), მილიონი ცალი	266,7	273,0	102,3

პირუტყვის, რძისა და კვერცხის შესყიდვის გეგმა შესრულდა.

პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში შეადგინა (ათასი სული):

პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობა	1 ივლისისათვის: 1983 წ.	1 ივლისისათვის: 1984 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	683,8	690,3
მათ შორის ძროხა	184,1	183,5
ღორი	448,8	474,1
ცხვარი და თხა	1461,3	1384,7
ფრინველი	11626,4	11635,3

ინერგება მუშაკთა შრომის ორგანიზაცია და სტიმულირება. გაიზარდა კოლექტიური (ბრიგადული) იჯარით მომუშავე ბრიგადების, რგოლების რიცხვი, რომლებიც იყენებენ შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიულ სისტემას.

ამავე დროს სოფლის მეურნეობაში არის ნაკლოვანებანი. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია აგროტექნიკის დონე, საკმარისად სწრაფი ტემპით არ წარმოებს საკვების დამზადება, უზრუნველყოფილი არ არის მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულება.

კვლავ მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესრულდა სოფლის მეურნეობისათვის მეტ წილ სახეობათა ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვები დანამატების **მიწოდების** გეგმა.

მიწოდებულია 1491 ტრაქტორი, 108 მარცვლასაღები, 237 სილოსასაღები და 17 სიმინდსაღები კომბაინი, 1570 ტრაქტორის გუთანი, 954 კულტივატორი, 67 დასაწვიმებელი მანქანა და დიდძალი სხვა ტექნიკა, 92 ათასი ტონა მინერალური სასუქი და 0,4 ათასი ტონა ქიმიური საკვები დანამატი (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით).

კაპიტალდაბანდებანი აგროსამრეწველო კომპლექსში, მათ შორის წარმოების საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველმყოფ დარგებში 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა და 268 მილიონი მანეთი შეადგინა; აქედან სოფლის მეურნეობაში — 185 მილიონი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების, სასურსათო პროგრამის ამოცანების შესაბამისად ინერგება მართვა და სამეურნეო მექანიზმი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში, მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და ტვირთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა	შესრულებულია 1984 წლის I ნახევარში	1984 წლის I ნახევარი პროცენტობით 1983 წლის I ნახევართან შედარებით
ტვირთზიდვა, მილიონი ტონა რკინიგზის ტრანსპორტი	19,5	100,8
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	84,7	102
ნავთობ და ნავთობპროდუქტსადენები	1,3	74
ტვირთბრუნვა, მილიარდი ტონაკილომეტრი რკინიგზის ტრანსპორტი	6,7	98
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	1,4	103
ნავთობ და ნავთობპროდუქტსადენები	0,4	65

წლის პირველ ნახევარში ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 32,9 მილიარდი ტონა კილომეტრი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა. მგზავრთბრუნვამ მიაღწია 7,4 მილიარდ მგზავრკილომეტრს და 4,9 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებანი შესრულებულია.

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთზიდვის საერთო მოცულობისა და მეტი წილი დაგეგმილი ტვირთის ნახევარი წლის გეგმა. მთლიანად ვერ შესრულდა მინერალური სასუქებისა და სამშენებლო ტვირთის გადაზიდვა. გაუმჯობესდა მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები, მეტი წილი ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებანი შესრულებულია.

ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გეგმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ 102,3 პროცენტით შეასრულა, თბილისის განყოფილებამ — 95,1 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტზე გადაჭარბებით შესრულდა შიდა ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმა. დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა გეგმა 105,6 პროცენტით შესრულდა.

საავტომობილო ტრანსპორტმა მგზავრთბრუნვის ნახევარი წლის გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა, მგზავრთა გადაყვანისა — 102,4 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მგზავრთბრუნვა გაიზარდა 6,6 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა — 6 პროცენტით, მსუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენა — 1,3 პროცენტით. ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის გადაზიდვის გეგმები შესრულებულია.

ნავთობ და ნავთობპროდუქტსადენმა ტრანსპორტმა ვერ შეასრულა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვისა და ტვირთბრუნვის საგეგმო მოცულობანი.

გაზსადენებმა სასაქონლო გაზის მიწოდების გეგმა შეასრულეს 101,2 პროცენტით; 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაზის მიწოდების მოცულობა 142 მილიონი კუბური მეტრით გაიზარდა.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთგადაყვანის, მგზავრთბრუნვის, ტვირთზიდვის საერთო მოცულობისა და ავიაციის მიერ სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა, ნახევარწლეულში გადაყვანილია მილიონზე მეტი კაცი.

მაგრამ სატრანსპორტო საწარმოები ცალკეული სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაზე, აგრეთვე მგზავრების გადაყვანაზე მოთხოვნილებებს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ; ხშირად საწარმოები და ორგანიზაციები უროგდებიან ვაგონების არასრულ დატვირთვას, ნელა ამცირებენ ცარიელ გარბენებს, დატვირთვა-განტვირთვის დროის დანაკარგებს.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს პროდუქციის მოცულობის გეგმა და მიღწეულია მისი 5,6 პროცენტით მატება. ამავე დროს მათ მიერ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

V. კაპიტალური მშენებლობა

ძირითადი ფონდების ამოქმედებამ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე 391 მილიონი მანეთი შეადგინა.

ახალი მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების შედეგად მწყობრში ჩადგე ახალი საწარმოო სიმძლავრეები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამოქმედებულთა შორის არის 35 კილოვატი და მეტი ძაბვის 46 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, 1 ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისათვის, 169 ათასი კილოვატამპერი სიმძლავრის ტრანსფორმატორული დამწევი ქვესადგურები. ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის [illegible] 220 ტონა [illegible] სიმძლავრის ორთქლის ქვაბი, [illegible] 4 ნავთობის ჭაბურღილი, დღე-ღამეში 15 ათასი კუბური მეტრი სასმელი წყალსადენი [illegible] 100-ადგილიანი [illegible] ქალაქის ავტომატური [illegible] სადგური [illegible].

გაიზარდა სიმძლავრეები აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში. აშენებულია 2,5 ათასი სული პირუტყვისათვის გათვალისწინებული მეცხოველეობის სადგომები. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 25 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის 5 მოდული, მათ შორის ღვინის მრეწველობაში — 610 ათასი მანეთის პროდუქციის საწარმოო 1 მოდული, ჩაის მრეწველობაში — 2 ათასი ტონა დაფასოებული ჩაისა და წელიწადში 5 მილიონი ბოთლი მატონიზებელი სასმელის „ბახმარო" საწარმოო 3 მოდული.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 3,4 ათასი ჰექტარი სარწყავი და 2 ათასი ჰექტარი დამშრობილი მიწები.

სახელმწიფო **კაპიტალდაბანდებამ** სახალხო მეურნეობაში 851 მილიონი მანეთი შეადგინა და 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით 125 მილიონი მანეთით გაიზარდა. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას 174 მილიონი მანეთი მოხმარდა.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სასაქონლო სამშენებლო პროდუქციამ 230 მილიონი მანეთი შეადგინა. გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. საიჯარო სამუშაოთა მოცულობა 2 პროცენტით გაიზარდა, მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდების მიზნით რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი სრულდება.

უზრუნველყოფილია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა **თვითღირებულების** ზეგეგმითი შემცირება.

ამავე დროს ვერ შესრულდა ძირითადი ფონდებისა და ცალკეული საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა.

VI. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

წლის პირველ ნახევარში გაიზარდა მშრომელთა შემოსავალი. სახალხო მეურნეობაში **მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა** მიაღწია 160 მანეთს, მაშინ როცა 1983 წლის პირველ ნახევარში 155 მანეთს შეადგენდა.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 5 პროცენტით გადიდდა.

მოსახლეობამ საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობამ მიიღო 1117 მილიონი მანეთის **დახმარება და შეღავათები**, ანუ გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 54 მილიონი მანეთით მეტი. ამ დახმარებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა თვეში 225 მანეთი შეადგინა.

კვლავ ხორციელდებოდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

გაუმჯობესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა სახლებსა და სხვა საინტერნატო დაწესებულებებში აღსაზრდელთა მოვლის პირობები. სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა მოვლის საფასურისაგან განთავისუფლებული არიან მარტოხელა დედები და ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე არ აღემატება თვეში 60 მანეთს.

შემოღებულია ბავშვიანი ახალგაზრდა ოჯახებისათვის საბინაო პირობების გაუმჯობესებისა თუ საოჯახო მეურნეობის შექმნის მიზნით უპროცენტო სესხის მიცემა.

მშრომელებმა ნახევარ წელიწადში შემნახველ სალაროებში **ანაბრები** გაზარდეს 119 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა 2487 მილიონი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 165 მილიონი მანეთით გაიზარდა. შესამჩნევად დაჩქარდა მისი მატების ტემპი, რომელმაც შეადგინა 7,2 პროცენტი 1983 წლის პირველი ნახევრის 2,8 პროცენტთან შედარებით. გაუმჯობესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ხორცისა და რძის პროდუქციით და სახალხო მოხმარების მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი საქონლით. მაგრამ ნახევარი წლის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, ზოგიერთ სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეული საქონლის გაყიდვის ზრდას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეულ სახეობათა საქონელი	1984 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით
პურპროდუქტები	103
ხორცი და ხორცის პროდუქტები	108
თევზი და თევზის პროდუქტები	102
ერბო-კარაქი	119
მცენარეული ზეთი	108
მარგარინის პროდუქცია	93
მოუხდელი რძის პროდუქცია	105
ყველი	111
კვერცხი	101
შაქარი	92
საკონდიტრო ნაწარმი	103
ჩაი	100
კარტოფილი	98
ბოსტნეული	97
ხილი და ციტრუსი	113
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	111
ტრიკოტაჟის ნაწარმი	104
წინდები	106
ტყავის ფეხსაცმელი	107
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	109
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	112
ავეჯი	100
მაცივრები და საყინულეები	102
სარეცხი მანქანები	106
ელექტრომტვერსასრუტები	112
საათები	105
ფოტოაპარატები	96
რადიომიმღებები	98
ტელევიზორები	101
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	129
მაგნიტოფონები	110
ველოსიპედები და მოპედები	104
მოტოციკლები და მოტოროლერები	107
მსუბუქი ავტომობილები	103

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** გაიზარდა 7,2 პროცენტით, სოფლად — 8,9 პროცენტით, ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებმა, აგრეთვე კოლმეურნეობებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს **420 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 7 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა.** გარდა ამისა, ბევრი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი მოსახლეობამ ააშენა საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო სესხის დახმარებით.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1170 ბავშვისათვის გათვალისწინებული სკოლამდელი დაწესებულებანი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტები.

საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების საერთო რაოდენობიდან საბჭოთა მეურნეობებმა, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე კოლმეურნეობებმა ააშენეს 13,8 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე სკოლამდელი დაწესებულებანი 600 ბავშვისათვის და სხვა არასაწარმოო ობიექტები.

მთლიანად საცხოვრებელი სახლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველი ნახევარწლეულის გეგმა შესრულდა.

გაფართოვდა სანატორიუმების, დასასვენებელი დაწესებულებების, ტურისტული სასტუმროებისა და ბაზების ქსელი.

გრძელდებოდა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა, ხორციელდებოდა ქალაქების ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შემცირების, წყალგამოყენების გაუმჯობესებისა და გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების გადაგდების შემცირების ღონისძიებანი. ამავე დროს მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ ბუნების დაცვის ობიექტების ამოქმედების გეგმებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში **სწავლობდა** 932 ათასი კაცი, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 64 ათასი (მათ შორის საშუალო სასწავლებლებში — 38 ათასი), საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 53,5 ათასი, უმაღლეს სასწავლებლებში — 89,6 ათასი კაცი. მიმდინარე წელს საშუალო განათლება მიიღო 87,2 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა.

სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 32,6 ათასი სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე — 15,4 ათასი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე — 17,2 ათასი კაცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწონებულ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად დაწყებულია რესპუბლიკის სასწავლებლებში ახალგაზრდობის სწავლების სისტემის გეგმაზომიერი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს სს რესპუბლიკის **მოსახლეობამ** 1984 წლის 1 ივლისისათვის შეადგინა 5191 ათასი.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

29 ივლისი, 1984 წ.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი

ქართული საბჭოური მუსიკის ჭეშმარიტი განძია ო. თაქთაქიშვილის პირველი ოპერა „მინდია" (ვაჟა-ფშაველას მიხედვით, რ. თაბუკაშვილის ლიბრეტო) და პირველი ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე" (ი. აბაშიძის ციკლის მიხედვით). ამ ქმნილებებმა საბჭოეთის მრავალ ქალაქშიც და უცხოეთშიც დიდი აღიარება პოვეს. მათში მთელი სიცხადით ჩამოყალიბდა კომპოზიტორის ძირითადი შემოქმედებითი თავისებურებანი: მონუმენტური, ამაღლებული სისადავე, ფორმების, დრამატურგიის მონოლითურობა და ლაკონიური სიმჭიდროვე, მელოდიური სახეების მომხიბვლელი სილამაზე და ქმედითობა. ყოველივე ამასთან — უახლოესი ნათესაობა ქართულ კლასიკურ მუსიკასთან და ხალხური მუსიკის ეპოსურ სტილთან. ამანაც განაპირობა ოპერისა და ორატორიის ესოდენ გამოყოფა მის შემოქმედებაში: ქართული საგუნდო ეპოსის თავისებურ ორატორიულ საწყისებსაც შეიცავს, ხოლო ზ. ...

... ზებთან ერთად, საშუალება ეძლევა ბუნების მაღლის — ადამიანის ხმის სილამაზის სრულყოფილი გამჟღავნებისა.

ამ თვისებებით უხვადაა მომადლებული „მინდია" და განსაკუთრებით კომპოზიტორის ყველაზე მონუმენტური, მასშტაბური ქმნილება „მთვარის მოტაცება", შექმნილი კ. გამსახურდიას დიდებული რომანის მიხედვით. იგი აღსავსეა ეპიკური სიდიადით, ძლიერი ადამიანური ვნებებით, დინამიკური მასობრივი სცენებით, ამაღლებული და ექსპრესიული მელოდიებით (თვალუწვდენი სივრცეების შემცველი, მრავალპლანიანი რომანის პათოსი სათუთი ტრანსფორმაციისას გმირთა შინაგან სამყაროზე იქნა გადატანილი). შემთხვევითი როდია, რომ იგი პირველად სრ... დიდ თეატრში დაიდგა და მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს. თუ იმის ისტორიასაც გავითვალისწინებთ, რაოდენ რთული და წინააღმდეგობებით სავსე ყოფილა ...

[illegible]

ანტონ წულუკიძე.

იუბილარი და მსმენელი

[illegible]

მარიამ ლორთქიფანიძე.

მუსიკაში გადასული ეროვნული სული

[illegible]

თამაზ ბილაძე.

...საკდესის განცხადება

[illegible]

ა. გრომიკომ მიიღო ჯ. მაკპოერენი

[illegible]

28 ივლისი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

ამხილეს შეთქმულება

[illegible]

პრეზიდენტის დიდი სიტყვა

[illegible]

...ლებენ კონტრრევოლუციონერ ნაძირალებს

[illegible]

ფოტოკალეიდოსკოპი

[illegible]

თავი იხრის „შავი სიმღერის"

[illegible]

ორდენი აჯილდოვებს მეტალურგის შრომას

[illegible]

კვალი ნათელი

[illegible]

ქართული საკვირაო
საკითხავი

ეროლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ივანერატორის ზარი

ბინდი. ფეხ ბინდზეზე ... ...